განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

სოციოლოგიის საბაკალავრო პროგრამა

ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი

შეფასების თარიღი 28/10/2019

დასკვნის წარდგენის თარიღი
21.11.2019

თბილისი
2019

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი (GIPA) ააიპ
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	204429341
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სოციოლოგიის საბაკალავრო პროგრამა
განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	სოციოლოგიის ბაკალავრი **0314**
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	აკრედიტირებული

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ემზარ ჯგერენაია, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	იაგო კაჭკაჭიშვილი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ეკატერინე ფირცხალავა, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ელენე სეთურიძე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის (GIPA) სოციოლოგიის საბაკალავრო პროგრამამ პირველი აკრედიტაცია 2018 წელს გაიარა. პროგრამაში მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული მიზნები და ამოცანები. მიზნებისა და ამოცანების გათვალისწინებით პროგრამაში წარმოდგენილი სასწავლო კურსები ხუთ ძირითად მიმართულებად არის დაყოფილი: 1. ზოგადი პროფილის; 2. ზოგად-თეორიული; 3. დარგობრივი; 4. კვლევის მეთოდები და 5. არჩევითი კურსები; არსებითად ასეთი დაყოფა სრულებით აკმაყოფილებს სოციოლოგიის საბაკალავრო პროგრამისადმი წაყენებულ მოთხოვნას და ბაკალავრის ხარისხისათვის აუცილებელი კვალიფიკაციის მიღებას.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტს (GIPA) აკრედიტაციის კომისია 28 ოქტომბერს 9 საათზე ეწვია. ინსტიტუტმა კომისიას მუშაობის კარგი პირობა შეუქმნა. ადმინისტრაციამ და აკადემიურმა შემადგენლობამ უზრუნველყო კომისიის მოთხოვნილი დოკუმენტაციისა და მტკიცებულებების ოპერატიული წარდგენა. კომისია მუშაობდა კოლეგიალურ და კეთილგანწყობილ გარემოში. ინტერვიუები მიმდინარეობდა დაუძაბავად და გულახდილად, რამაც კომისიას შესაძლებლობა მისცა მიეღო ამომწურავი პასუხები დასმულ კითხვებზე.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

არსებითად პროგრამა შესაბამისობაშია უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტებთან: 1. პროგრამის მიზნებთან; 2. სწავლების მეთოდოლოგიასა და ორგანიზებასთან, პროგრამის შეფასების ადეკვატურობასთან; 3. სტუდენტთა მიღწევებთან და მათთან ინდივიდუალურ მუშაობასთან; 4. სწავლების რესურსებით უზუნველყოფასთან; 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობებთან. პროგრამის სასწავლო გეგმა, დისციპლინების ჩამონათვალი სრულებით აკმაყოფილებს სოციოლოგიის სამაგისტრო პროგრამისათვის წაყენებულ მოთხოვნებს. დისციპლინათა სემესტრული განაწილება ლოგიკურია. პროგრამას უძღვება კვალიფიციური პროფესორი და მის განხორციელებაში მონაწილეობს გამოცდილი და მომზადებული აკადემიური პერსონალი.

ხუთივე სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- **რეკომენდაციები**

  კომისიის რეკომენდაციაა, რომ გაფართოვდეს არჩევითი საგნების საკრედიტო მოცულობა, პირველ რიგში, სპეციალობის (სოციოლოგიის) საგნების მიმართულებით (მაგალითად, შესაძლებელია, რომ დარგობრივი სოციოლოგიები გადავიდეს არჩევითი საგნების ნუსხაში). ეს სასწავლო პროგრამას გახდის უფრო მოქნილს და ხელს შეუწყობს სტუდენტებს, რომ თავიანთი ინტერესების შესაბამისადაც „ააგონ“ სასწავლო პროგრამა და, შესაბამისად, ცხრილი.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

1. პროგრამის მდგრადობისა და განვითარებისათვის სასურველია, ინსტიტუტმა იზრუნოს აფილირებული აკადემიური პერსონალის და სტუდენტების რიცხოვნობის გაზრდაზე. ჩვენი აზრით, არ არის აუცილებელი მისაღები სტუდენტების ოდენობის ზედა ზღვარი წინასწარ განისაზღვროს.

2. სასწავლო პროგრამას ძირითადად ახორციელებენ სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან და ორგანიზაციებიდან მოწვეული პედაგოგები. უშუალოდ სოციოლოგიის დარგში შემავალი კურსების სწავლებას ემსახურება მხოლოდ შტატის ორი პერსონალი. პედაგოგთა კორპუსის ასეთი დიზაინი მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს სასწავლო პროგრამის მდგრადობისთვის. აუცილებელია, რომ GIPA-ში ჩამოყალიბდეს მინიმალური (კრიტიკული) რაოდენობა შტატიანი პედაგოგების, რომლებიც სტაბილურად მოემსახურებიან სოციოლოგიის საბაკალავრო პროგრამის განხორციელებას (ასეთ მინიმალურ რაოდენობად გვესახება 4 ან 5 შტატიანი პროფესორი). წინააღმდეგ შემთხვევაში, სასწავლო პროგრამის ინსტიტუციური მდგრადობა იქნება მუდმივი რყევების ქვეშ, რაც დააზიანებს სწავლების ხარისხს.

3. საბაკალავრო პროგრამას ჰყავს სტუდენტთა ძალზე მცირე რაოდენობა (მეორე კურსზე 2 სტუდენტი, ხოლო პირველ კურსზე – 5 სტუდენტი). როგორც GIPA-ს ადმინისტრაცია აცხადებს, სტუდენტთა მაქსიმალურ კვოტად ამ პროგრამისთვის განსაზღვრულია 15 სტუდენტი. როგორც ცნობილია, საბაკალავრო პროგრამის თავისებურება ისაა, რომ ამ საფეხურზე სწავლება ძირითადად აწყობილია სალექციო პრინციპზე, როდესაც წამყვანი აქტორი ლექტორია. სწავლების სალექციო რეჟიმი თავისუფლად იტანს ათეულობით (ზოგჯერ, ასეულობით) სტუდენტს. ამდენად, საბაკალავრო პროგრამის უპირატესობად ნამდვილად ვერ ჩაითვლება 5-10 ან 15 სტუდენტის მომზადება. კომისიის რჩევაა, რომ სოციოლოგიის საბაკალავრო პროგრამამ მოხსნას სტუდენტთა მიღების მაქსიმალური ზღვარი (15 სტუდენტი) და სტუდენტთა მიღება უზრუნველყოს ინფრასტრუქტურული რესურსების გათვალისწინებით (ის ინტელექტუალური რესურსი, რომელიც პროგრამას ემსახურება, სრულიად საკმარისია სტუდენტთა გაზრდილი რაოდენობისთვის).

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

არ დასტურდება

- **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ჯიპა-ს სოციოლოგიის საბაკალავრო პროგრამა მიზნად ისახავს მაღალკვალიფიციური სპეციალისტის - სოციოლოგის ბაკალავრის - მომზადებას, რაც გულისხმობს სოციოლოგიური თეორიისა და კვლევის მეთოდების ათვისებას, მათი პრაქტიკული გამოყენების უნარების გამომუშავებას. პროგრამა ვითარდება, მასში გათვალისწინებულია სოციოლოგიის მეცნიერების ზრდა-განვითარების პერსპექტივა. აღსანიშნავია, რომ პირველი აკრედიტაციის შედეგები (რეკომენდაციები და რჩევები) ჯიპას სოციოლოგიის საბაკალავრო პროგრამაში მაქსიმალურად იქნა გათვალისწინებული: 1. დაინიშნა პროგრამის ხელმძღვანელი; 2. მნიშვნელოვანი ცვლილება მოხდა პროგრამის შინაარსში; 3. შეიცვალა აკადემიური პერსონალის შემადგენლობა. გარდა ამისა, პროგრამა ითვალისწინებს სტუდენტთა სამოქალაქო განათლებას და ხელს უწყობს დემოკრატიული ღირებულებებზე ორიენტირებული მოქალაქის ფორმირებას. პროგრამის მიზნები და ამოცანები მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული. დასახული მიზნები და ამ მიზნების მიღწევისათვის საჭირო ნაბიჯები რაციონალური და მიღწევადია; პროგრამა მიზნად ისახავს უახლესი თეორიული და პრაქტიკული ცოდნით აღჭურვილი კურსდამთავრებულის გამოშვებას. ორიენტირებულია ადგილობრივი შრომის ბაზარსა და კონკურენტულ გარემოზე; პროგრამის მიზნები და ამოცანები ითვალისწინებს დარგის განვითარების პერსპექტივებს საერთაშორისო და ადგილობრივ ინსტიტუციებთან თანამშრომლობით; სოციოლოგიის საბაკალავრო პროგრამა შეესაბამება და ავსებს ჯიპას სტრატეგიას, განვითარებისა და როლის ხედვას;
მტკიცებულებები/ინდიკატორები თვითშეფასების დოკუმენტი უნივერსიტეტისა და პროგრამის მიზნების, ამოცანების, მისიისა და სტრატეგიის აღწერის დოკუმენტი შრომის ბაზრის ანალიზის ამსახველი დოკუმენტი ვებგვერდი ინტერვიუ

რეკომენდაციები: არ გვაქვს
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არ გვაქვს
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): არ დასტურდება
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები
➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას; ➢ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს; ➢ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ჯიპას სოციოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის მიზნებსა და ამოცანებს. პროგრამაში მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული შედეგები, რომელიც თანხვედრაშია პროგრამის მიზნებთან. როგორც თვითშეფასების დოკუმენტიდან და ინტერვიუდან გაირკვა, ჯიპას აკადემიურმა პერსონალმა პროგრამის სწავლის შედეგების დახვეწის მიზნით იმსჯელა და გადაწყვიტა ანალიტიკურად ჩამოეყალიბებინა პროგამის სწავლის შედეგები ასეთი შედეგი შვიდია:

1. მყარი თეორიული საფუძველი სოციოლოგიაში;

„ბაკალავრი ერკვევა სოციოლოგიის ძირითად მიმართულებებში (მიკრო და მაკრო სოციოლოგია) და მათთვის დამახასიათებელ სპეციფიურ მიდგომებში. იცნობს სოციოლოგიის კლასიკურ, მოდერნულ და თანამედროვე თეორიებსა და აზროვნების სკოლებს. იცის თითოეული მათგანის ძირითადი იდეა და არგუმენტები, მსგავსებები და განსხვავებები. შეუძლია კრიტიკულად იმსჯელოს აღნიშნული ავტორებისა თუ აზროვნების სკოლების შესახებ“.

2. ცოდნა დარგობრივ სოციოლოგიაში;

„ბაკალავრს გააჩნია ბაზისური წარმოდგენა სხვადასხვა დარგობრივი სოციოლოგიის შესახებ (მაგ.შრომის, ეკონომიკის, ჯანდაცვის, რელიგიის, გენდერის და ა.შ. სოციოლოგია). იცნობს თითოეული მათგანის სპეციფიკას, დარგში დაგროვებულ კვლევით გამოცდილებას და ძირითად აღმოჩენებს, ასევე არსებულ გამოწვევებს. მიღებული ცოდნა წარმოადგენს კარგ საფუძველს კონკრეტული მიმართულებით სპეციალიზაციისათვის“.

3. სოციოლოგიური ანალიზი;

„პროგრამის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შედეგია ის, რომ ბაკალავრს შეუძლია სოციალურ მოვლენებზე დაკვირვება და მათი სოციოლოგიური ანალიზი. ეს უკანასკნელი გულისხმობს მოვლენების გამომწვევ სოციალურ, კულტურულ, ეკონომიკურ და პოლიტიკური ფაქტორების ურთიერთკავშირის შესახებ მსჯელობას, პროცესებში ჩართული სოციალური ჯგუფების იდენტიფიცირებას და თეორიული აპარატის გამოყენებას როგორც უკვე მომხდარის გასაანალიზებლად, ისე მოვლენების განვითარებისსაპროგნოზოდ“.

4. თვისებრივი კვლევა;

„ბაკალავრი იცნობს თვისებრივი სოციოლოგიური კვლევის მეთოდოლოგიასა და მეთოდებს. შეუძლია თვისებრივი კვლევის დიზაინის შემუშავება, დაგეგმვა და განხორციელება. ასევე შეუძლია საბაზისო დონეზე თვისებრივ მონაცემთა ანალიზი. წინასწარ განსაზღვრული მითითების შესაბამისად მუშაობს დასკვნით სასწავლო პროექტზე“.

5. რაოდენობრივი კვლევა;

„ბაკალავრი იცნობს რაოდენობრივი სოციოლოგიური კვლევის მეთოდოლოგიასა და მეთოდებს. შეუძლია რაოდენობრივი კვლევის დიზაინის შემუშავება, დაგეგმვა და განხორციელება. ასევე შეუძლია საბაზისო დონეზე რაოდენობრივ მონაცემთა ანალიზი და შესაბამისი სტატისტიკური პროგრამის გამოყენება. წინასწარ განსაზღვრული მითითების შესაბამისად მუშაობს დასკვნით სასწავლო პროექტზე”.

6. (პროფესიული) კომუნიკაცია;

„ბაკალავრი იყენებს კომუნიკაციის ინსტრუმენტებს (წერილობითს და ზეპირს). ზეპირი თუ წერილობითი მეტყველების გამოყენებით, აფასებს, აანალიზებს, მსჯელობს, ასაბუთებს და იყენებს ცოდნას პრაქტიკულ საქმიანობაში, ფლობს კვლევითი პროექტების წერილობითი და ზეპირი ფორმით წარმოდგენის ტექნიკას“.

7. ღირებულებები და ეთიკა.

„ბაკალავრს გააჩნია სწორად ჩამოყალიბებული ღირებულებითი სისტემა. იგი აცნობიერებს

კვლევაში ეთიკური ასპექტის მნიშვნელობას, მისთვის მნიშვნელოვანია პროფესიული კეთილსინდისიერება. აცნობიერებს ეთიკურ პრინციპებს და იჩენს მათდამი ერთგულებას ნებისმიერი კომუნიკაციის შემთხვევაში“. წარმოდგენილი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ანალიზმმა აჩვენა, რომ სტანდარტის 1.2. კომპონენტი გააზრებულია და ლოგიკურად დაკავშირებულია ერთმანეთთან. ის შესაბამისობაშია სწავლის მიზნებსა და ამოცანებთან.
მტკიცებულებები/ინდიკატორები საგანმანათლებლო პროგრამა სწავლის შედეგები პროგრამის მიზნები თვითშეფასების დოკუმენტი, რომელიც შეიცავს შრომის ბაზრის მოთხოვნების ანალიზს
რეკომენდაციები: არ გვაქვს
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: არ გვაქვს
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): არ დასტურდება
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	X			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სოციოლოგიის სამაგისტრო პროგრამაში ჩარიცხვის უფლება აქვს საქართველოს ნებისმიერ მოქალაქეს, თუკი ის აკმაყოფილებს კანონით დადგენილ მოთხოვნებს. სტანდარტი სრულებით დაცულია. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს პირთა პროგრამაზე დაშვების შესახებ ინფორმაციის საჯაროობას და ინფორმაციის ხელმისაწვდომობას. დაშვების პირობები, მობილობის წესები სამართლიანია და შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან. უნივერსიტეტი იტოვებს უფლებას, საჭიროების შემთხვევაში, მობილობასთან დაკავშირებით დაადგინოს დამატებითი წესები, რაც ასევე არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას და მიღებულ რეგულაციებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები საგანმანათლებლო პროგრამა; პროგრამაზე დაშვების წინაპირობები; ვებგვერდი, რომელიც ამომწურავ ინფორმაციას შეიცავს; ინტერვიუ.

რეკომენდაციები: არ გვაქვს
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არ გვაქვს
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): არ დასტურდება
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსსა და სწავლის შედეგებთან.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი GIPA-ს საბაკალავრო პროგრამა სოციოლოგიაში აკმაყოფილებს საკვალიფიკაციო სტანდარტებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს: სტუდენტებს მიეწოდება სოციოლოგის კვალიფიკაციის განმსაზღვრელი ყველა ძირითადი კურსი, როგორც ძირითადი სოციოლოგიური თეორიების, ისე ემპირიული კვლევის მეთოდების მიმართულებით. პროგრამის შემდგენლები ხელმძღვანელობდნენ საქართველოს კანონდებლობითა და ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემით, რაც ასახულია უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის წესში. ამ დოკუმენტში ასევე ასახულია პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, გარდა ამისა, პროგრამა ეფუძნება „უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესებს“, სადაც (მეორე და მესამე თავები) განსაზღვრულია კრედიტების დაგროვებისა და

სტუდენტთა ცოდნის შეფასების სისტემა, მოცემულია კრედიტ საათის, სასწავლო კვირის სემესტრში დასაგროვებელი კრედიტებისა და სხვა განმსაზღვრელი რეგულაციები; პროგრამა ეფუძნება საკონტაქტო საათებისა და დამოუკიდებელი სამუშაო საათების გააზრებულ/რაციონალურ რაოდენობას. ერთი კრედიტი წარმოადგენს 25 ასტრონომიულ საათს, რომელიც მოიცავს საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობის საათებს. თვითშეფასების დოკუმენტის თანახმად, „განსაკუთრებული ყურადღება მათ ლოგიკურ თავსებადობას და თანმიმდევრობას ეთმობა“.

მიუხედავად ამისა, საბაკალავრო პროგრამის მიმართ კომისიას აქვს ერთი რეკომენდაცია და რამდენიმე რჩევა. პროგრამის ფარგლებში უშუალოდ სოციოლოგიის დარგში შემავალი ყველა სასწავლო კურსი სავალდებულოა. პროგრამა არ აძლევს სტუდენტებს საშუალებას, რომ აირჩიონ სპეციალობის რომელიმე საგანი. მართალია, პროგრამას აქვს არჩევითი საგნების ჩამონათვალი, მაგრამ არცერთი მათგანი არ ეხება უშუალოდ სოციოლოგიის დარგს, არამედ წარმოადგენს დამატებით კონტრიბუციას. ასეთი მიდგომა სასწავლო პროგრამას ხისტად აქცევს და ეწინააღმდეგება ბოლონიის პროცესის ერთ-ერთ სტანდარტს სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების შესახებ, რაც არჩევითობის პრინციპის გაძლიერებას გულისხმობს. დისბალანსი სავალდებულო და არჩევით საგნებს შორის გამოიხატება კრედიტების მოცულობითაც: სავალდებულო საგნების საერთო საკრედიტო მოცულობაა 205 კრედიტი, ხოლო არჩევით საგნებს მხოლოდ 72 კრედიტი ეთმობა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

ჯიპას წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამა

სილაბუსები

კურიკულუმების რუკა

ვებგვერდი

ინტერვიუები

რეკომენდაციები:

კომისიის რეკომენდაციაა, რომ გაფართოვდეს არჩევითი საგნების საკრედიტო მოცულობა, პირველ რიგში, სპეციალობის (სოციოლოგიის) საგნების მიმართულებით (მაგალითად, შესაძლებელია, რომ დარგობრივი სოციოლოგიები გადავიდეს არჩევითი საგნების ნუსხაში). ეს სასწავლო პროგრამას გახდის უფრო მოქნილს და ხელს შეუწყობს სტუდენტებს, რომ თავიანთი ინტერესების შესაბამისადაც „ააგონ“ სასწავლო პროგრამა და, შესაბამისად, ცხრილი.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

1. სასწავლო პროგრამას ძირითადად ახორციელებენ სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან და ორგანიზაციებიდან მოწვეული პედაგოგები. უშუალოდ სოციოლოგიის დარგში შემავალი კურსების სწავლებას ემსახურება მხოლოდ შტატის ორი პერსონალი. პედაგოგთა კორპუსის ასეთი დიზაინი მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს სასწავლო პროგრამის მდგრადობისთვის. აუცილებელია, რომ GIPA-ში ჩამოყალიბდეს მინიმალური (კრიტიკული) რაოდენობა შტატიანი პედაგოგების, რომლებიც სტაბილურად

მოემსახურებიან სოციოლოგიის საბაკალავრო პროგრამის განხორციელებას (ასეთ მინიმალურ რაოდენობად გვესახება 4 ან 5 შტატიანი პროფესორი). წინააღმდეგ შემთხვევაში, სასწავლო პროგრამის ინსტიტუციური მდგრადობა იქნება მუდმივი რყევების ქვეშ, რაც დააზიანებს სწავლების ხარისხს. 2. საბაკალავრო პროგრამას ჰყავს სტუდენტთა ძალზე მცირე რაოდენობა (მეორე კურსზე 2 სტუდენტი, ხოლო პირველ კურსზე – 5 სტუდენტი). როგორც GIPA-ს ადმინისტრაცია აცხადებს, სტუდენტთა მაქსიმალურ კვოტად ამ პროგრამისთვის განსაზღვრულია 15 სტუდენტი. როგორც ცნობილია, საბაკალავრო პროგრამის თავისებურება ისაა, რომ ამ საფეხურზე სწავლება ძირითადად აწყობილია სალექციო პრინციპზე, როდესაც წამყვანი აქტორი ლექტორია. სწავლების სალექციის რეჟიმი თავისუფლად იტანს ათეულობით (ზოგჯერ, ასეულობით) სტუდენტს. ამდენად, საბაკალავრო პროგრამის უპირატესობად ნამდვილად ვერ ჩაითვლება 5-10 ან 15 სტუდენტის მომზადება. კომისიის რჩევაა, რომ სოციოლოგიის საბაკალავრო პროგრამამ მოხსნას სტუდენტთა მიღების მაქსიმალური ზღვარი (15 სტუდენტი) და სტუდენტთა მიღება უზრუნველყოს ინფრასტრუქტურული რესურსების გათვალისწინებით (ის ინტელექტუალური რესურსი, რომელიც პროგრამას ემსახურება, სრულიად საკმარისია სტუდენტთა გაზრდილი რაოდენობისთვის).
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): არ დასტურდება
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან **X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი
➢ ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; ➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამაში მოცემული სასწავლო კურსები სრულებით უზრუნველყოფს პროგრამით დასახული შედეგების მიღწევას. თითოეულ კურსს მინიჭებული აქვს წონა/კრედიტი. სასწავლო კურსების დაგეგმვა და განაწილება უზრუნველყოფს სწავლის შვიდ შედეგს, რომელიც მკაფიოდ არის გაწერილი თვითშეფასების დოკუმენტში, ესენია: მყარი თეორიული საფუძველი სოციოლოგიაში, ცოდნა დარგობრივ სოციოლოგიაში, სოციოლოგიური ანალიზი, თვისებრივი კვლევა, რაოდენობრივი კვლევა, პროფესიული კომუნიკაცია და ღირებულებები და ეთიკა. ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია სწავლის შედეგები სავალდებულო და სავალდებულო-არჩევით საგნებთან მიმართებით, რომლებიც თავის მხრივ ჩაშლილია ოთხ (4) დონედ: ა) შესავალი ანუ გაცნობითი დონე - I (Introduction); ბ) ცოდნის განვითარებაზე მიმართული საგნები - D (Development of knowledge) - იგულისხმება, რომ გაცნობით დონეზე სტუდენტები საგნებს უკვე დაეუფლნენ წინა სემესტრების განმავლობაში; გ) კონკრეტული მიმართულებით ცოდნის გაღრმავებაზე მიმართული საგნები - A (Advanced) და დ) პრაქტიკაზე, პროცედურულ ცოდნაზე მიმართული საგნები P (Procedural knowledge = practical application of knowledge). შესაძლებელია, საგნის დაუფლება ერთდროულად ორ დონეზე გასვლას განაპირობებდეს, მაგალითად: შესავლისა და პრაქტიკის (IP), პრაქტიკისა და განვითარების (DP) ან პრაქტიკისა და ოსტატის (AP) დონეზე.
სასწავლო კურსის კრედიტები განსაზღვრულია მისი მოცულობიდან გამომდინარე და ადეკვატურია. სილაბუსებში მკაფიოდ არის მითითებული სავალდებულო თეორიული და პრაქტიკული ხასიათის ლიტერატურა. პროგრამის სილაბუსები მუდმივი განახლების პროცესშია, მასში ასახული კონკრეტული დარგის უახლესი ლიტერატურა, რომელიც სხვადასხვა სახით ეფექტურად მიეწოდება სტუდენტებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

საგანმანათლებლო პროგრამა

კურიკულუმების რუკა

სილაბუსები

თვითშეფასების დოკუმენტი

ინტერვიუ

რეკომენდაციები:

არ გვაქვს

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არ გვაქვს

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): არ დასტურდება
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საბაკალავრო პროგრამა ითვალისწინებს სტუდენტების ტრანსფერული უნარების გამომუშავებასა და ფორმირებას. გამომდინარე იქიდან, რომ პროგრამას ჯერ კიდევ არ ჰყავს დამამთავრებელი სემესტრის სტუდენტი ვერ დავადასტურებთ ასეთი უნარების პრაქტიკული ათვისების შემთხვევას. შესაბამისად, ჯერ კიდევ არ გვაქვს სტუდენტური კონფერენციები და სხვა სახის სამეცნიერო და პრაქტიკული აქტივობები, რომელიც ტრანსფერული უნარების სრულ სურათს მოგვცემდა. თუმცა პრაქტიკული უნარების განვითარებას უზუნველყოფს პროგრამის კურსები: თვისებრივი კვლევის პრაქტიკული კურსი, რაოდენობრივი კვლევის პრაქტიკული კურსი, მონაცემთა დამუშავება SPSS პროგრამის საშუალებით, მონაცემთა ანალიზი და კვლევის ანგარიშის მომზადება, პრაქტიკა სოციოლოგიაში და დასკვნითი სასწავლო პროექტი სოციოლოგიაში. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ სასწავლო პროგრამა სტუდენტებს აძლევს შესაძლებლობას საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე დამოუკიდებლად აირჩიონ საკვლევი თემა და მეთოდოლოგია და შემდგომ ეტაპზე კონსულტაციისათვის მიმართოთ პროფესორს/მენტორს. ეს მიდგომა ტრანსფერული უნარების განვითარებას უწყობს ხელს და უზრუნველყოფს დამოუკიდებელი მკვლევრის ფორმირებას. ტრანსფერული უნარების განვითარების მიზნით სასწავლო პროგრამებში გამოყენებულია თანამედროვე მეთოდები:

გუნდური მუშაობა და პრეზენტაცია, ინდივიდუალური პრეზენტაცია, დასკვნითი სასწავლო პროექტი. სასწავლო გეგმის, სილაბუსების ანალიზმა და მათმა განაწილებამ დაგვარწმუნა, რომ პროგრამა უზრუნველყოფს ტრანსფერული უნარების განვითარებას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები თვითშეფასების დოკუმენტი ინტერვიუ
რეკომენდაციები: არ გვაქვს
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არ გვაქვს
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): არ დასტურდება
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სასწავლო კურსის სწავლების მეთოდები შესაბამისობაშია სტანდარტთან და პროგრამით დასახულ მიზნებთან და, შესაბამისად, უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული შედეგების მიღწევას. სწავლებისთვის გამოიყენება კლასიკური (ლექცია, სემინარი) და თანამედროვე მიდგომები (დისკუსია, პრეზენტაცია, გუნდური მუშაობა, შემთხვევის ანალიზი და ა.შ.). აკადემიურმა პერსონალმა გაიარა სწავლების მეთოდების ტრენინგი და ამისთვის გამოიყენა ტემუსისა და „ERASMUS+"-ის საგრანტო პროექტები. სილაბუსების ანალიზის შემდეგ შეიძლება დავასკვნათ, რომ სილაბუსებში საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის ფარგლებში სწავლება-სწავლის მეთოდი სასწავლო კურსის სწავლება-სწავლის მეთოდები განსხვავებულია საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე და შეესაბამება აკადემიური უმაღლესი განათლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას; უნდა აღინიშნოს, რომ საბაკალავრო პროგრამის „ახალგაზრდობის" გამო სტუდენტების რაოდენობა მცირეა, მაგრამ გარკვეული კურსები აერთიანებს სოციალური მეცნიერების ფაკულტეტის სხვა სტუდენტებსაც. სწავლების მეთოდები მოიცავს შემდეგ აქტივობებს: დისკუსია/დებატები; გუნდური მუშაობა; შემთხვევის ანალიზი (Case study); დემონსტრირების მეთოდი. ამ მეთოდების კომბინირება უზრუნველყოფს მასალის ეფექტურ ათვისებას და კვლევითი უნარების ფორმირებას. უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესების მეოთხე თავი განსაზღვრავს წესებს, რომელიც უზრუნველყოფს მათი გამოყენების წესებს კონკრეტული, ინდივიდუალური საჭიროებების შესაბამისად. უფრო სწორად, სასწავლო კურსის სწავლების მეთოდები კარგად არის მორგებული სილაბუსს და მასში გათვალისწინებულია სასწავლო კურსის სპეციფიკა. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა მორგებულია ჯიპას სტუდენტების, მათ შორის სტატუსაღდგენილი და მობილობით გადმოსული სტუდენტების საჭიროებებზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები სასწავლო გეგმები სოლაბუსები თვითშეფასების დოკუმენტი ინტერვიუ
რეკომენდაციები: არ გვაქვს
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არ გვაქვს

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): არ დასტურდება
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება
სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.
სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურებისა და კანონმდებლობის შესაბამისად. შეფასება ხდება 100 ქულიანი სისტემით, რომელიც შეადგენს შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი შეფასების ჯამს. დასკვნითი და შუალედური შეფასებების წილი ნაწილ საგნებში არის 40/60, ნაწილში - 30/70. ასევე, თითოეული სასწავლო კურსისთვის შუალედური და დასკვნითი შეფასების კომპონენტები განსხვავებულია, რაც განპირობებულია სასწავლო კურსის სპეციფიკით და მისაღწევი მიზნებით. მინიმალური კომპეტენციის ზღვარი განსაზღვრულია ორივე მათგანში - შუალედურ შეფასებაში ეს შეადგენს 30, ხოლო ფინალურში - 40 პროცენტს. ეს ყველაფერი ნათლად არის ასახული სასწავლო კურსების სილაბუსებში, რომლებიც განთავსებულია ელექტრონულ პორტალზე და მათზე სტუდენტებს შეუზღუდავი წვდომა აქვთ. აღსანიშნავია ელექტრონული პორტალის გამართული მუშაობის საკითხი, საიდანაც სტუდენტებს შეუძლიათ მიიღონ და ატვირთონ დავალებები, გაეცნონ მასალას და, ასევე, აწარმოონ მიმოწერა ლექტორებთან. აქვე, სტუდენტებს ეძლევათ საშუალება იხილონ მიღებული ქულები. სასწავლო სილაბუსებში ასახულია მრავალფეროვანი შეფასების მეთოდები. გასაჩივრების პროცედურები გაწერილია დოკუმენტებში და სტუდენტებსაც აქვთ ინფორმაცია ამის შესახებ. ყოველი სემესტრის ბოლოს ხდება კურსის ელექტრონული შეფასება და შემდეგ ამ ინფორმაციის დამუშავება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ, რაც შემდეგ გათვალისწინებულია აღნიშნულ კურსში ცვლილებების შესატანად. მაგალითად, სტუდენტების მოთხოვნით პროგრამიდან ამოღებულ იქნა კურსი „კომუნიკაციის ფსიქოლოგია“ და დაემატა „პრეზენტაციის უნარები“.

მტკიცებულებები/ინდიკატორები უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი; სასწავლო კურსების სილაბუსები; ელექტრონული პორტალი www.lmb.gipa.ge; ინტერვიუს შედეგები; გამოკითხვის შედეგები.
რეკომენდაციები: არ გვაქვს
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არ გვაქვს
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): არ დასტურდება
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების	X			

შეფასების ადეკვატურობა				

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი აღნიშნულ პროგრამაზე სტუდენტების მცირე რაოდენობა ხელს უწყობს სტუდენტებსა და პროფესორ-ადმინისტრაციას შორის უშუალო და ღია დამოკიდებულების ჩამოყალიბებას. ეს გამოიკვეთა როგორც სტუდენტებთან, ასევე მომიჯნავე ბაკალავრიატის პროგრამის კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს დროს. ინტერვიუდან ასევე გაირკვა, რომ სტუდენტები ინფორმირებულნი არიან საკონსულტაციო სერვისების შესახებ, თუმცა ლექცია-სემინარებზე ინტენსიური მუშაობის შემდეგ აღნიშნავენ მათი გამოყენების ნაკლებ საჭიროებას. უსდ-ში ფუნქციონირებს სტუდენტთა მხარდაჭერის და კარიერული განვითარების ცენტრი, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის ინფორმაციის მიწოდებას - უსდ-ში დაგეგმილ ღონისძიებებზე, გაცვლით პროგრამებზე, ვაკანსიებზე, სტაჟირებებზე და სხვ. ამ და სხვა სახის ინფორმაციას სტუდენტები ეცნობიან, ასევე, უნივერსიტეტის ვებ-გვერდის საშუალებით. ასევე, უნივერსიტეტი ჩარიცხული სტუდენტებისათვის ატარებს საორიენტაციო შეხვედრებს, სადაც აცნობს მათთვის საჭირო ძირითად ინფორმაციას. პროგრამა სტუდენტებს სთავაზობს გაცვლით პროგრამაში მონაწილეობას პარტნიორ ევროპულ და ამერიკულ უნივერსიტეტებთან, თუმცა ჯერ სტუდენტების მხრიდან არ ყოფილა დაინტერესება, რადგან პროგრამა მხოლოდ მეორე წელია ფუნქციონირებს. თუმცა, ინტერვიუს დროს სტუდენტებმა გამოთქვეს მომავალში ამ პროგრამით სარგებლობის სურვილი. პროგრამის ახალბედობის გამო, ასევე მწირია სტუდენტების ჩართულობა საერთაშორისო და ადგილობრივ პროექტებში, ღონისძიებებში, კონფერენციებსა და კვლევებში. რაც არის ექსპერტების რჩევის საფუძველი გაზარდონ და გააძლიერონ სტუდენტების ამ მხრივ ჩართულობა. აღსანიშნავია ასევე კურიკულუმს გარეთ უსდ-ს მიერ განხორციელებული აქტივობები საჯარო ლექციებისა და გარემოს გამწვანების მხარდაჭერის კუთხით, რაც აღნიშნეს სტუდენტებმა ინტერვიუს პროცესში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები მატერიალურ-ტექნიკური ბაზა; უნივერსიტეტის ვებ-გვერდი www.gipa.ge; გამოკითხვის შედეგები;

ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: არ გვაქვს
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის სასურველია გაიზარდოს სტუდენტების საერთაშორისო და ადგილობრივი აქტივობები: საერთაშორისო კონფერენციებში, პროექტებში, ღონისძიებებში, კვლევებსა და გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის კუთხით.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): არ დასტურდება
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ○

მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;

პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამას ახორციელებს შესაბამისი კვალიფიკაციის აკადემიური პერსონალი. მოწვეული და აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული მიზნების, ამოცანებისა და შედეგების მიღწევას, კვლევითი და სამეცნიერო საქმიანობის სრულყოფილ წარმართვას. პროგრამის ხელმძღვანელი კვალიფიციური და მოტივირებული სამეცნიერო კადრია.
პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალი ფლობს აკადემიურ ხარისხს და წარმოადგენს წარმატებულ პროფესიონალს საკუთარ დარგში, რაც დასტურდება მათი პირადი საქმეებითა და შესაბამისი სამეცნიერო კვლევებით, პუბლიკაციებით და გამოცდილებით.
რაც შეეხება მოწვეულ ლექტორებს, მათი შერჩევა ხდება კონკურსის გარეშე, პროგრამის ხელმძღვანელის წარდგინების საფუძველზე. დოკუმენტების ანალიზის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ სოციოლოგიის პროგრამაზე მოწვეული პერსონალი წარმოადგენს წარმატებულ პროფესიონალს საკუთარ დარგში. სპეციალური კურსების ფარგლებში, რომელთაც ისინი უძღვებიან, მათ აქვთ სამეცნიერო კვლევები და პუბლიკაციები.
აკადემიური პროცესის მიმდინარეობის დროს პროგრამის ადმინისტრაცია აქტიურად შეისწავლის სტუდენტთა მიერ ყოველი ლექტორის, როგორც აფილირებული ასევე მოწვეულის პროფესორის შეფასებას და საჭიროების შემთხვევაში ახდენს სწრაფ რეაგირებას.

სოციოლოგიის საბაკალავრო პროგრამის აკადემიური პერსონალისა და მოწვეული ლექტორების პირადი საქმეების, მათ მიერ წარმოდგენილი სილაბუსებით და ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალი, როგორც აფილირებული, ასევე მოწვეული, სრულებით აკმაყოფილებს კრიტერიუმებს. მეტიც, მათ აქვთ მაღალი კვალიფიკაცია, კვლევითი, სამეცნიერო და პედაგოგიური საქმიანობის კარგი გამოცდილება. აკადემიური პერსონალის აკადემიურ თანამდებობაზე შერჩევა ხდება კანონმდებლობის დაცვით - ღია კონკურსის წესით. მართალია, დაშვებულია ლექტორების მოწვევა კონკურსის გარეშე, მაგრამ პროგრამის ხელმძღვანელი და ადმინისტრაცია მოწვევას ახორციელებს აკადემიური შრომის

ბაზარზე დაკვირვებით და ცდილობს შეარჩიოს საუკეთესო და გამოცდილი შემადგენლობა. ამ მიზნით პროგრამის ხელმძღვანელი სწავლობს მოსაწვევი კანდიდატის ბიოგრაფიას, პუბლიკაციებსა და სხვა აკადემიური ხასიათის მიღწევებს. პროფესორ-მასწავლებლების შერჩევისას ყურადღება ექცევა კანდიდატის კომუნიკაციურ უნარებს, რაც უზრუნველყოფს კოლეგიალობისა და სტუდენტებთან კარგი ურთიერთობის გარემოს შექმნას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

სასწავლო გეგმა

სილაბუსები

აკადემიური პერსონალის CV

თვითშეფასების დოკუმენტი

ინტერვიუ

რეკომენდაციები:

არ გვაქვს

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

პროგრამის მდგრადობისთვის მნიშვნელოვანია მეტი აფილირებული და აკადემიური

პერსონალის არსებობა.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

არ დასტურდება

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

აკადემიური პერსონალის შემადგენლობა რაოდენობრივად და ხარისხობრივად უზრუნველყოფს სწავლებისა და მეცნიერული კვლევის სათანადო დონეს. სტუდენტების მცირე რიცხვი მათთან პროფესორების ინდივიდუალური მუშაობის კარგ წინაპირობას ქმნის. აკადემიური თანამდებობის დაკავება ხდება ღია კონკურსის წესით. მოწვეული პედაგოგები უმეტესწილად შეირჩევა კონკურსის გარეშე, მაგრამ შერჩევა ხდება კომპენტენციის, პროგრამის მიზნებისა და შედეგების გათვალისწინებით. მხედველობაში მიიღება გამოცდილება, პუბლიკაციები და ა.შ. პროგრამას ხელმძღვანელობს პროფესორი, რომელსაც აქვს პუბლიკაციები ადგილობრივ და საერთაშორისო გამოცემებში. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ აკადემიური და მოწვეული პერსონალი ჩართულია პროგრამის განვითარებაში. ინსტიტუტი ზრუნავს აკადემიური პერსონალის განვითარებაზე და ხელს უწყობს მათ ჩართულობას ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო კვლევით პროექტებში. დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს. აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარებას, მათ სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას კოორდინაციას უწევს კვლევითი დეპარტამენტი, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასება აკადემიური საქმიანობის წლიური ანგარიშის მეშვეობით. ეს ანგარიში ასახვას ჰპოვებს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესების დანართში - N8. ჯიპა ყოველწლიურად აანალიზებს კვლევითი საქმიანობის შედეგებს და აქვს შედეგების გაუმჯობესების სამოქმედო გეგმა. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ჯიპას ბიუჯეტი ითვალისწინებს სამეცნიერო საქმიანობის ინტერნაციონალიზაციის ფინანსურ მხარდაჭერას. ამ თვალსაზრისით, ბიუჯეტი სამჯერ გაიზრდება და 395 ათასი ლარი გახდება. ასევე აღსანიშნავია თანამედროვე სწავლების ცენტრი (Teaching Excellence Center, TEC), რომელიც 1913 წლიდან მოქმედებს. ჩვენი დაკვირევბით ცენტრის მუშაობა ეფექტურია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

თვითშეფასების დოკუმენტი

სივები

ინტერვიუ სილაბუსები
რეკომენდაციები: არ გვაქვს
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: არ გვაქვს
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): არ დასტურდება
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი
პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სოციოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსი, კერძოდ: სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო აუდიტორიები და საკონფერენციო დარბაზები; კომპიუტერული ტექნიკითა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით აღჭურვილი ბიბლიოთეკა; კომპიუტერული კლასები, ინტერნეტში და შიდა ქსელში ჩართული კომპიუტერული ტექნიკა და სწავლის/სწავლების პროცესის ადეკვატური კომპიუტერული პროგრამები, სხვადასხვა ტექნიკური მოწყობილობები და ა.შ. სოციოლოგიის საბაკალავრო პროგრამა უზრუნველყოფილია შესაბამისი სახელმძღვანელო და მეთოდური ლიტერატურით. ძირითადი ლიტერატურა განთავსებულია ელექტრონულად:
შესაბამისი ელექტრონული სახელმძღვანელოებით, რიდერებით, სასწავლო-მეთოდური და სამეცნიერო ლიტერატურით, სამკითხველო დარბაზში სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ ისარგებლონ ინტერნეტით და საერთაშორისო ელექტრონული რესურსით, აგრეთვე ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის მონაცემთა ბაზით.
სტუდენტების სარგებლობენ gipa.ge მეილების სისტემით, რაც მათ აძლევთ შესაძლებლობას ჰქონდეთ წვდომა სხვადასხვა აპლიკაციებსა და შეუზღუდავი ვირტუალური მეხსიერების სივრცეზე.

შენობა-ნაგებობების მფლობელობაში არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;

სილაბუსებში მითითებული ძირითადი ლიტერატურის საბიბლიოთეკო ფონდში არსებობა

საინფორმაციო ბაზის დათვალიერება

რეკომენდაციები:

არ გვაქვს

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არ გვაქვს

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

არ დასტურდება

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ჯიპა არის არასამეწარმეო, არაკომერციული იურიდიული პირი, შესაბამისად, ის არ არის ორიენტირებული მოგებაზე. ამ გარემოების გათვალისწინებით, სოციალური მეცნიერებების პროგრამას აქვს მყარი ფინანსური საფუძველი და მდგრადობა. პროგრამის ხარჯები გათვალისწინებულია ჯიპას საერთო ბიუჯეტში. ჯიპას აქვს ფინანსური შესაძლებლობა პროგრამა უზრუნველყოს ახალი ტექნოლოგიებით და პროგრამებით. უნივერსიტეტს გააჩნია მდგრადი ფინანსური რესურსი, რომელიც უზრუნველყოფს ახალი პროგრამების დანერგვას. ეს გარემოება ასახულია ოფიციალური სტრატეგიის ნაწილში და მოცემულია სამოქმედო გეგმაშიც ბიუჯეტთან ერთად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

თვითშეფასების დოკუმენტი

ინტერვიუები

რეკომენდაციები:

არ გვაქვს

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არ გვაქვს

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

არ დასტურდება

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და გასავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
სწავლების ხარისხის შეფასების მიმართულებებისა და საშუალებების მეშვეობით მოწმდება საგანმანათლებლო პროგრამა, პროგრამაში შემავალი ცალკეული კომპონენტები, ლექტორების მუშაობის ეფექტიანობა, სტუდენტთა აკადემიური მოსწრება, საგანმანათლებლო პროცესის ეფექტურობა და მასთან დაკავშირებული სხვა გარე და შიდა ფაქტორები. ტარდება ელექტრონული გამოკითხვები სტუდენტებთან, ფოკუს ჯგუფები, მონაცემთა ანალიზის საფუძველზე ხდება რეაგირება.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ჯიპა და პროგრამის ხელმძღვანელი ზრუნავენ სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე. ამ მიზნით გამოიყენება სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების უკუკავშირი. უკუკავშირით მიღებული ინფორმაციის საფუძველზე ხდება ხარვეზების აღმოფხვრა. ამ პროცესში ჩართულია უნივერსიტეტის ადმინისტრაცია, ხარისხის სამსახური და აკადემიური პერსონალი. პროცესის ანალიზით მიღებული შედეგები დისკუსიისა და განხილვის საგანი ხდება, რითაც მიიღწევა ეფექტი. შემუშავებული რეკომენდაციები გამოიყენება სწავლების პროცესის დასახვეწად. პროგრამის შემუშავება და მისი ხარისხის შეფასება რეგულირდება სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მიხედვით („თავი III საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილებების შეტანისა და გაუქმების წესი და პროცედურები“; „თავი VIII სასწავლო პროცესის მონიტორინგის, ხარისხის შეფასების, შედეგების ანალიზისა და გამოყენების წესები”). სასწავლო პროცესის შეფასება მოიცავს: 1. სწავლის ხარისხის შეფასების შედეგების ანალიზსა და გამოყენების ციკლს; 2. სწავლების ხარისხის შეფასების მიმართულებებს და საშუალებებს; 3. სასწავლო პროცესის შიდა შეფასების შედეგების ანალიზსა და რეაგირების პროცედურებს. პროგრამის ცალკეული კომპონენტების (ლექტორების მუშაობის ეფექტიანობა, სტუდენტთა აკადემიური მოსწრება, საგანმანათლებლო პროცესის ეფექტურობა და ა.შ) შეფასება მოიცავს ორ ძირითად მიმართულებას:

ა) სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შეფასებასა და ანალიზს;

ბ) სასწავლო პროცესის ან მისი კომპონენტის (საგანი, მოდული და სხვა) დასრულების შემდგომი შეფასებას და ანალიზს.

მიღებული შედეგების გაანალიზების შემდეგ ხდება ძლიერი და სუსტი მხარეების აწონვა და პრობლემების მოგვარების სტრატეგიის შემუშავება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

თვითსეფასების დოკუმენტი

ინტერვიუები

რეკომენდაციები:

არ გვაქვს

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არ გვაქვს

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

არ დასტურდება

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ο გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება
პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.
პროგრამის გარე შეფასების შესახებ შეიძლება ითქვას, რომ პირველადი აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი იყო პირველი გარე ხარისხის შემფასებელი. მათი რეკომენდაციების გათვალისწინებით პროგრამაში შესულია ცვლილებები: პროგრამის ახალი ხელმძღვანელი წარმოადგენს უნივერსიტეტის აფილირებულ, აკადემიურ პერსონალს და მას გააჩნია დოქტორის ხარისხი სოციოლოგიაში. მოხდა პროგრამის არჩევითი კურსების რევიზია; გადაიხედა სილაბუსები - სწავლის შედეგების ახალი სტანდარტებისა და კვალიფიკაციათა ჩარჩოს განახლებული ვერსიის მიხედვით. სწავლების რესურსების მიმართულებით განახლდა სასწავლო ლიტერატურა. ცვლილებებია აკადემიური პერსონალის თვალსაზრისით - სწავლების პროცესში სოციოლოგიაში ხარისხის მქონე მეტი პერსონალი ჩაერთო. მოხდა შეთანხმება რიგ პოტენციურ დამსაქმებელთან და პრაქტიკის ობიექტთან პროგრამის ფარგლებში. „DEPA Consulting" და „სოციალურ მეცნირებათა ცენტრი - CSS", რომლებთანაც გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები. გაიზარდა ძირითადი აკადემიური პერსონალის პუბლიკაციების რაოდენობა საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალებში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები საგანმანათლებლო პროგრამა; საგანმანათლებლო პროგრამა სილაბუსები; აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა; ვიზიტის დროს მიღებული ინფრომაცია.

რეკომენდაციები: არ გვაქვს
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არ გვაქვს
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): არ დასტურდება ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სოციოლოგიის ახალგაზრდა პროგრამაშიც მიმდინარეობს იმ პრაქტიკის გამოყენება, რომელიც JIPA-ს სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის სხვა პროგრამებისთვის არის შემუშავებული, კერძოდ:
1. სტუდენტების მიერ ლექტორების ფარული წესით შეფასება;
2. სტუდენტებთან განხორციელებული ფოკუს-ჯგუფის ანგარიშების ანალიზი;
სტუდენტების მიერ დასკვნითი სასწავლო პროექტის ხელმძღვანელის ფარული წესით შეფასება;
3. ლექტორის მიერ ჯგუფის შეფასება;
4. სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგი.
შეფასების დოკუმენტის შესწავლამ და ინტერვიუებმა გამოავლინა, რომ ჯიპა ზრუნავს ჯერ კიდევ ახალგაზრდა პროგრამის მონიტორინგსა და შეფასებაზე. ამ პროცესში ჩართულია უნივერსიტეტის ყველა სტრუქტურა, დამსაქმებლები და თვით სტუდენტიც. პროგრამის ხელმძღვანელი და კოორდინატორი ესწრებიან ლექტორების ლექციებს. ადგილი აქვს მოსაზრების გაცვლას და თანამშრომლობას ლექციების დახვეწის მიზნით. პროგრამის მონიტორინგი და შეფასებას ხდება რელევანტური მეთოდების გამოყენებით, როგორიცაა: გარე ფაქტორების შეფასება და ანალიზი - კონკურენტი პროგრამების კვლევა და ანალიზი; შრომის ბაზრის მოთხოვნებთან საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობის შეფასება; კურსდამთავრებულთა დასაქმების ანალიზი და სტატისტიკური აღრიცხვა და სხვა. მიღებული შედეგები აქტიურად გამოიყენება პროგრამის დასახვეწად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესები;
ფოკუს ჯგუფის ანგარიში;
აკადემიური მოსწრების ანალიზი;
ვიზიტის დროს მიღებული ინფორმაცია.

რეკომენდაციები:

არ გვაქვს

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არ გვაქვს

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

არ დასტურდება

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:

დასკვნის გვერდების რაოდენობა:34

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	X			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	X			
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

ემზარ ჯგერენაია

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

იაგო კაჭკაჭიშვილი

ეკატერინე ფირცხალავა

ელენე სუთიძე